

# საქართველო გამცირ

ს უ რ ა თ ე გ ი ა ნ ი ღ ა მ ა ტ ი ა ს

გაფეთის № 609

დამაცემის № 107

პირა, 27 მაისი 1912 წ.



დანევი.  
ბულგარეთის ეროვნულ კრების თავმჯდომარე.



პოლ დეშანელი.  
აზალი პრეზიდენტის საფრანგეთის დეპუტატთა პალატისა—



## ჩემს დეზაინერებს

(კიდევ იმას გუძლვნი).

ჩემი სული ყველგან სუფევს... ყველგან სუფევს... ყველგან მეოქი:  
ხან ია ვარ, ხან კი წყარო, მთის თხემიდან მონაფეოქი,  
მინდა ჩემის ტანჯვით დავსტკბე, მინდა მთვარეს გავებუტო,  
მინდა, სატრუკოვ, შენს ტუჩებზე ვიჩურჩულო, კიბუტბუტო;  
მინდა შავ-ზღვას მზე დავაწნა, ზღვას შშეიდა და ხმებ-მოკვეცილს,  
მინდა გიშრის ღამე ვუძღვნა შენს ნარნარა თმების სიცილს,  
მინდა სუნთქვით გადავბუგო მოლაულაჟე სხივთა კონა...  
ოტელო ვარ, ეჭვით სავსე, გესმის?.. გესმის?.. დეზდემონა!..


დღეს შორსა ვარ... მაგრამ თვალში რად გიდგია ცრემლთა ხევი?  
რად აღნები ქარვის სხივსა?.. ტალღად რისთვის მოირხევი?  
დღეს შორსა ვარ... სარქმლის ფარდას სიო ისე ათამაშებს,  
ვით ქალწულის ნაზი სუნთქვა, დანაქროლი ყრმის ულვაშებს.  
დღეს შორსა ვარ... მაგრამ გრწამდეს, ჩემს ბედს თვით მე გამოვსჭედავ:—  
სხივთა მორებს დავეუფლე და ყოველ დღე შიგა გხედავ!..  
დღეს შორსა ვარ, დღეს აქ, ყველას მოვეწონე—მომეწონა...  
ოტელო ვარ, ეჭვით სავსე, გესმის?.. გესმის?.. დეზდემონა!..

ზღაპარს გეტყვი... სინამდვილით შექმნილ ზღაპარს საამდროვოს—  
და, ჩემებრ მომაკვდავმა შენში ყოვნის ღმერთი ჰპოვოს;  
ნაკადულის ჩრდილებს დავჭრი ამომავალ ცისკრის შუქით,  
თოვლის ეკლით დაგაძინებ, გაგაღვიძებ მზის პატრუქით;  
გველს ემბლემად შემოგაჭდევ, დავწვავ ღრუბლის ცივ ყვავილებს,  
ავტირდები, მაგრამ მკერდზე არ დაფინევ ცრემლის ღილებს;  
შემიბრალე კოცნის გიუ! შემიბრალე ტრტობის მონა!..  
ოტელო ვარ, ეჭვით სავსე, გესმის?.. გესმის?.. დეზდემონა!..

ი. გრიშაშვილი.



## თ-დ კ. მ. ამირაჯიბის სკოლა. სოვ. ჩავლევი.



ს. ავლევის სკოლა და მოწაფე—მასწავლებელი.



ჭარხლის მოკრეფა სოფ. ავლევის სკოლის მოწაფეთა მიერ მარჯვენა მხარეს პატარა მოწაფეს ჭარხალი უჭირავს.

## ვიცენტე ბლასკო იბანიესის ნოველები

სამუშაო გაზაფხული


მოხუცი ტოფოლი და პატარა გოგო მუდმივ ნაყოფიერობისაგან ძალა გამოლეულის ბალის ნიმდვილი ყმები იყვნენ. ეს ორი ადამიანი ამ პატარა, ხელსახლცის ოდენა ნაკერ მიწაზე,—როგორც ხუმბრობით იტყოდნენ ხოლმე მეზობლები, წარმოადგენდა ორს ზედმეტ ხეს, ორ მცენარეს, რომელიც განუწყვეტელის შრომით ამავე მიწის წყალობით სკამდა ლუკის პურა.

სწორედ მიწის ჭიების ცხოვრება ჰქონდათ, მუდამ რაღა-საც თხრიდნენ. პატარა გოგო, მიუხედავად ნაზის შეხედულობისა, მოჯამავირესავით მუშაობდა.

სახელად ბროლა \*) დაარქვეს, რადგან ბიძია ტოფოლის განსვენებულმა ცოლმა, რომელსაც ძლიერ სურდა ბავშვის ყოლა, რათა უხალისო ცოლ-ქრობა რითიმე დაქმუვენებინა, თავშესაფარიდან აიყვანა ბავშვი. ამ პატარა ბალში გაატარა ბორდამ ჩიდმეტი წელიწადი, თუმცა უფრო თერთმეტის წლისას ჰევედა ტანის სიგამხდრის გამო. წინ წამოწეული წაწვეტილი ვიწრო მხრები, ჩავარდნილი მკერდი და მოხრილი ზურგი უფრო გამხდრის შეხედულებას აძლევდა.

ულამაზო იყო და ბაზარში მეზობელ და ამხანაგ ქალებს შიშა ჰევრიდა განუწყვეტელის აუტანელის ხევლებით; ყველას კი უყავრდა. რა მშრომელია! გათენებამდის ჯერ კიდე შორს იყო, რომ სიცივისაგან კანკალებდა ბალში, აგროვებდა მარწყვს ან ყვავილებს ჰკრეფდა. პირველი შედიოდა ვალენსიაში რომ თავისი ადგილი დაეჭირა ბაზარში; როდესაც მათი ჯერი იყო მორწყვისა, კაბა ამოქაბიწებული, თოხით ხელში ეხმარებოდა ბიძია ტოფოლს,—გზას უკვლევდა არხიდან გადმოშვებულ მოწითანო წყალს, რომელსაც გახურებული, მოწყურებული მიწა ხარბად ჰყლაპავდა იმ დღებში კი, როდესაც მადრიდი \*\*) გზავნიდნენ ყვავილებს, გირსავით დაბოდა ბალში, ხტებოდა კვლებზე და ბოჭ-ბოჭა მოჰქონდა მიხაკი და ვარდები, რომელთაც ჩამწყობი კალათებში ალაგებდნენ.

არ იყო ადვილი ამ პატარა ნაკერ მიწაზე ცხოვრება. საჭირო იყო ფეხ მოუცვლელი მუშაობა; ისე უნდა მოქცეოდნენ ამ მიწას, როგორც ჯიუტ პირუტყეს, რომელსაც თუ არ მათრახით ფეხს ვერ მოაცვლევინებ ადგილიდან, ეს იყო პატარა ჩამონათალი დიდის ბალისა, რომელიც ოდესალაც ეკუთვნიდა ბერებს და რევოლუციის დროს გაყიდული შემდეგ დაჭრილი იყო პატარა-პატარა ნაკრებად. ქალაქი იზდებოდა და შენობათა ტალღა აგერ-აგერ მოიყოლებდა ამ პატარა ბალს, და ბიძია ტოფოს, რომელიც კარგის სიტყვით არასოდეს არ იხსენიებდა თავის ბალს, ჭირის ოფლს დასხამდა იმის



თ-დ კ. მ. ამირაჯიბის მამულში მანქანით მქა სოფ. ავლევში.

გაფიქრებაზე, ვაი თუ დახარბდა ამის პატრონი და გაჰყიდა სახლის ასაშენებლადაო.

ეს მიწა მორწყული იყო მისის სისხლით, აქ იყო ჩამარხული მისი სამოცუის წლის შრომა. დაუმუშავებელი არ რჩებოდა არც ერთი შტკაველი მიწა, და, თუმცა ბალი არ იყო დიდი, მის შუა ადგილიდან არ სჩადა კედლები, ისე სქლად იყო დარგული მრავალი ხე და ბუჩქი: ზომარტლის ხეები და მაგნოლები, მიხავით სავსე მთელი კვლები, ნამდვილი ტყევარდის ბუჩქებისა, სქელი კედლები ისამანისა და ბრწამლისა,—ყველა მეტად სასარგებლო მცენარეები იყო, რადგან ქალაქში მცხოვრები ღილად აფასებდნენ და ფულს იხდიდნენ მათ საშონებლად.


მოხუცი უგრძნობელი იყო თავის ბალის სილამაზისა. ერთად-ერთი მისი სურვილი იყო ყველა ამ ყვავილების გამრავლება. ნეტა ყვავილების თიბეა შეიძლებოდეს როგორც უბრალო ბალახისა და ძვირფასის ხილებულობით მთელის ურმების დატვირთვა!.. ასეობის სურვილით გატაცებული ეს გაუმაძლარი და ძუნწი ადამიანი აწვალებდა საწყალ ბორდას: ერთ წამს რომ შეჩერებულიყო გოგო საშინელ ხელის შემდეგ სულის მოსათმებლად, იმ წამსვე გაუჯავრდებოდა ან წასახლისებლად ხელს ჰკრავდა ზურგში.

მეზობელი ქალები ჯავარიმდნენ: მოჰქლავს გოგოს; უფრო და უფრო უმატებს ხელის. მაგრამ მოხუცი მუდამ ერთსა და იმავეს უბასუხებდა: დიდი შრომაა საჭირო. მიწის პატრონი არავერ თავის გამართლებას ყურს არ უგდებს წმიდა უზანისა და შობის ღლეს, როდესაც იჯარის შეტანის ვადაა. გოგოს თუ ახველებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი საძაგელია, თორემ ყველ დღე აქვს თავისი გირვანქა პური და თავისი წილი ქაბში მოხარუშულ ბრიჯისა, ზოგჯერ კი მეტიც—მაგალითად ხახვის თავი; კვირაობით სენიორასავით წირვაზე გზავნის, და ჯერ ერთი წელიწადიც არ შესრულებულა, კაბის საყიდლად რომ საში ჰკრეტი \*) მისცა, გარდა ამისა, ხომ მამის მაგიერ იყო გოგოსათვის, მამის უფლება მას, რო-

\*) უკანონ.

\*\*) ქავანის დედი ქალაქია.

## ქართ. სახურნეო საზოგადოების აგრონომის მოღვაწეობა ქართლში.



აგრონომიულ პუნქტის დარბაზში კედლებზე გაკრული განცხადებანი.  
სოფ. ზემო გომში, გორის მაზრაში.



„საკისეულ“ გუთნით ხენა სოფ. ავესში, გორ. მაზ.,  
დავ. კაპანაძის მამულში.

გორც ლათინელთ მოდგმის ყველა გლეხებს, ესმოდა ისე, რო-  
გორც ძველ რომაელებს, ე. ი. მისი უფლება იყო — ჰურდა  
მოჰკლავდა, ჰურდა აცილებდა.

საწყალი ბორდა არა სჩიოდა: თითონაც უნდა ბევრი  
ეშრომა, რომ ეს ერთი მტკაველი მიწა არ წაერთვათ მათ-  
თვის. აქ თითქო ეხლაც თვალ წინ იდგა დაკერებულ კაბია-  
ნი მებალე ქალი, რომელსაც დედას ეძახდა და რომელიც და-  
გრეხილის ხელებით ეალერსებოდა ხოლმე.

აქ იყო ყველაფერი, რაც კი უყვარდა: ხები, რომელ-  
ნიც იცნობდნენ მას პატარაობიდან, და ყვავილები, რომელ-  
ნიც უმანკო თავში ულვიძებდნენ დედობრივობის გაურკვე-  
ველ სურვილს. ისინი იყვნენ მისი შეილები, მის ბავშვობის  
ერთად-ერთი სათამაშოები, და ყოველ დილას ერთი და იგი-  
ვე გაოცება ეხატებოდა სახეზე, როდესაც ჰერდავდა ახლად  
გაშლილ ყვავილებს, გუშინდელ კოკრებს. ბორდა თვალს ადე-  
ვნებდა მათთან და თან ზრდას, იმ დროიდან დაწყებული რო-  
დესაც გაუბედავად თავს გამოყობდნენ ქვეყნად, ფოთლებ და-  
კეცილები, თითქო დამალვას და უკანვე გაბრუნებას აპირე-  
ბენ, ვიდრე იმ დრომდე, როდესაც უეცარის გაბედულობით  
იშლებოდნენ, როგორც ფერადებისა და სუნელებათა ყუმბა-  
რები.


ბალი დაუსრულებელ სიმფონიას გალობდა მისთვის და  
ამ სიმფონიას შეადგენდა ფერადების ჰარმონია, რომელსაც  
ერთვოდა ფოთოლთ შრიალი და ერთნაირი ჟღურტული  
ფოთლებ ქვეშ მიმალულ მღრიე წყლისა.

შუალისას, როდესაც მზე მეტის-მეტად აქერდა და მო-  
ზუცი ისვენებდა, ბორდა დასეირნობდა ბალის ერთის კუთხი-  
დან მეორემდის და სტკბებოდა სილამაზით თავის ყვავილო-  
ვან ოჯახისა, რომელიც მზის მისაგებებლად საღლესასწაულოდ  
გამოწყობილიყო. რა საუცხოვო გაზაფხულია! ნამდვილად  
ღმერთმა ადგილი იყვალა, ზეცას და მიწას მოუხალოვდა!

თეთრი ატლასის შრომანა ამაყად ამართულიყო და გან-  
ცხრომას მისცემოდა, როგორც საშეჯლისოდ გამოწყობილი  
სენიორიტები, რომელნიც საწყალ ბორდას ხშირად უნახავს  
ნახატებზე; ტანის ფერი კამელიები მოაგონდნენ ტიტველა  
ტანს, იმ დიდებულ სენიორებს, რომელნიც თავისუფლად გა-  
წოლილან და თავიანთ აბრეშუმისებურ კანის იღუმალი მშვე-  
ნივრობა გამოუჩენიათ; ია იმაღებოდა და კეკლუცობდა თა-  
ვის სუნელებით, გვირილას თავი მოჰკონდა ოქროსფერ სამ-  
კაულით; მიხაკს რევოლუციონერების წითელ კუდების გრო-  
ვასავით, აეგსო კვლები და ზოგვან გზებზე გადმოდიოდა; ზე-  
მოდ ირხეოდა მაგნოლიის თეთრი ამართული ყვავილები და  
ავსებდა იქაურობას საკმეველზე უკეთეს სუნელებით; ყოველ-  
მხრიდან იყურებოდა სხვა და სხვა ნაირი პატარ-პატარა ყვა-  
ვილები და თითქო ეუბნებოდნენ გოგონას:

— ბორდა, ბორდა... გვწყურიან. ღმერთი გწამდეს, ერ-  
თი წვეთი წყალი!

ამას ამბობდნენ, დიალ, — ბორდას ესმოდა ეს თოვნა,  
ყურით კი, თვალებით, და თუმცა მთელ ძვლებს სტეხდა და-  
ლლილობა, გარბოდა არხისკენ, აფებდა სარწყაულს და აპკუ-



საოც მანქანის მუშაობა სოფ. წრომში (გორის მაზრა),  
თავ. ლ. ციციშვილის მამულში.

რებლა პატარა ცელქებს, რომელნიც სიხარულით თავს უქ-  
ნევდნენ.

ხშირად, როდესაც სჭრიდა ყვავილებს, ხელები აუკან-  
კალდებოდა. მისინგა რომ იყოს, არც ერთს არ მოსჭრიდა, —  
ყოფილიყვნენ, მინამ გახმებოდნენ. მაგრამ ფული უნდა ეშო-  
ვათ და ამისათვის უნდა აევსოთ ყვავილებით კალათები მაღ-  
რიდს გასაგზავნად.

გასაგზავნად გამზადებულ ყვავილებს შურის თვალით  
უყურებდა, მაღრიდი!.. ნეტა როგორია? წარმოდგენილი ჰქონ-  
და ზღაპრული ქალაქი საუცხოვ სასახლეებით, სწორედ ისე-  
თის, როგორიც ზღაპრებშია, ბრწყინვალე დარბაზებით, ფაი-  
ფურის კედლებით და სარკეებით, რომელშიაც იხედება ათასი  
სანთელი; ეს დარბაზები სავსეა ლამაზის სენიორებით, რო-  
მელთაც ია ეს მისი ყვავილები ამშვენებენ.

ყველა ეს ისე მკაფიოდ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ  
ზოგჯერ ექვენებოდა, თითქო როდესლაც ენახა კიდეც, იქნე-  
ბა დაბადებამდისაც.

იმ მაღრიდში სცხოვრობდა სენიორი, მიწის პატრონის  
შვილი. არა ერთხელ უთამაშნია მასთან ბავშვობაში, მაგრამ  
შარშან გაზაფხულზე ლამაზი ყმაწვილი მათ ბალის სანახავად  
რომ მოვიდა, შერცხვა და დაიმალა.

მაცდური მოგონება!


მთლად აინთებოდა, როდესაც მოაგონდებოდა ის საათე-  
ბი, რომელთაც ერთად ატარებდნენ ბავშვობაში! დასხდებო-  
დნენ სერზე და ბორდა ყურს უგდებდა სენისიენტას ამბავს,  
საწყალი ქალი უეცრად მეფის ლამაზ ქალად რომ გადაიქცა.

ყველა მიტოვებულ ქალებს სამარადისო თცნება დასახა,  
მაშინ მის შებლს თავისის ოქროს ფრთებით. ბორდა ჰერდავ-  
და, როგორ გაქრდა მის ბალის შემოსვალთან მეფის ეტლი,  
და გაიგონა, რომ მშვენიერმა სენიორამ დაუძახა:

— „ჩემი შვილო!.. ძლიერ არ გიპოვე!“

სწორედ ისე, როგორც ზღაპრუში. მერე საუცხოვ კა-  
ბები, სასახლე საცხოვრებლად და, მიუხდედავად იმისა, რომ  
მრავალი მეფის შვილი მზად არის ცოლად შეირთოს, ბორდა  
კმაყოფილია მით, რომ სენიორიტოს მიჰყვება ცოლად.

## ჩ ი ნ ი თ ი ს ს ა ნ ა ხ ა მ გ ა ნ ი.



კოშკი გოდებისა, (სატუსალო), პეკინში. ტუსალებს ქვებს ათლევინებენ და სხვა მძიმე საქმეს აკეთებინებენ.

ვინ იცის?.. მაგრამ რაც უფრო მეტს ოცნებობდა მომავალზე, მით უფრო მკაცრად ექცეოდა სინამდვილე, და მოხუცი ბუზღუნით ეუბნებოდა.

— აბა, გაიძერ! დროა დიდიხანია! და ისევ შრომა, ისევ მიწის მუშაობა.

მზე ძალზე აჭერს, ხეებს ქერქი ასკდებათ; გათენებისას ისეთსავე ოფლოს ასხამს მუშას, როგორც შუალისას.

ბორდა კი უფრო და უფრო ხმება; უფრო ხშირად ახველებს; თითქო სიცოცხლე და კარგი ფერი, რომელიც აკლია მის სახეს, ყვავილებმა მოჰკარეს, რომელთაც ისეთის გრძნობით ჰკოცნდა.

აზრადაც არ მოსვლია არავის ექიმის მოწვევა. რა საჭირო იყო? ექიმს ფული უნდა; ამასთან ბიძია ტოფლოს არცა სწამდა მათი არაფერი: პირუტყვებს ადამიანებზე ნაკლები ესმით, მაგრამ მშვენივრად ცხოვრობენ უექიმოდ და უაფთიაქოდა.

ერთხელ დილით, ბაზარში, ბორდას ამხანაგებმა ჩურჩული დაიწყეს და თან შებრალებით შესცემისადნენ. მახვილ სმენის წყალობით საწყალმა გოგომ ყველაფერი გაიგონა: ხეებს ფოთლები შემოსცვივა და ესეც სამარტის ჩავა.

ეს სიტყვები ამას იქნით არარ იშლებოდა მის გონიერაში, სიკედილი... კეთილი, იგი ემორჩილება! მაგრამ ბორდას ებრალებოდა საწყალი მოხუცი, რომელიც მარტოკა უნდა დარჩენილიყო, ნერა დედასავით შუა გაზაფხულს მოკვდებოდეს, როდესაც მხიარულის სიცილით იცინის მთელი ბალი, და არა იმ ღროს, როდესაც მიწა გატიტვლდება, ხეები ცოცხებს და ემსგავსებიან და მხოლოდ ზამთრის უსიცოცხლო ყვავილები სევდიანად გამოიყურებიან აქა-იქ.

როდესაც დასცვივა ფოთოლი!..


ბორდას არ უყვარდა ხეები, რომელთ ტოტები, ჩონჩის მსგავსად, ტიტვლდებოდნენ შემოდგომაზე; ქალი ერიდებოდა მაშინ ხეებს და უყვარდა მხოლოდ პალმა, რომელიც წარსულ საუკუნეში დარგეს ბერებმა, — ეს ლამაზი მშვენიერ ქოჩინანი ხე.

ფოთლები არასოდეს არ დასცვივა. იქნება სისულელე ყოფილიყო, მაგრამ სასწაულებრივისადმი სიყვარული რაღაც იმედს უბალავდა საწყალ ქალს, და, როგორც ადამიანი, რომელიც განკურნებას ექებს, მუხლმოფრევილი ეშვება სასწაულებრივ ხატის წინ, ისე საბრალო ბორდა თავისუფალ ღროს პალმის ძირში ატარებდა; პალმაც თჩრდილებდა განიერის ფოთლებით.

იქ გაატარა ზაფხული; შესცემეროდა მზეს, რომელიც არარ ათბობდა და მხოლოდ ნისლს აყენებდა მიწაზე. იქ მოუსწრო შემოდგომის პირველმა ქარმა, რომელიც ჰგლეჯდა ხეებს გამხმარ ფოთლების.

ბორდა უფრო და უფრო დნებოდა, უფრო დასცვდიანდა და სმენა ისე გაუმახვილდა, რომ ოდნავი ხმაურობა ეყურებოდა. თეთრი პეპელები გარს ეხვევოდნენ, თითქო უნდოდათ წაელოთ თან, გადატანათ სხვა ქვეყნაში, იქ, საღაც ყვავილები თავისით იზდებიან და თავიანთ ფერადებისათვის და სუნელებისათვის არ ხმარობენ თავიანთისავე მომვლელების სიცოცხლეს...

ზამთრის წვიმებმა ველარ მოუსწრო ბორდას. ისინი დაეცნენ მოხუცის მოხრილ ზურგს. ეს კი, როგორც ყოველთვის, მთელ თავის ღროს მუშაობაში ატარებდა თოხით ხელში და დასხერებოდა შავს მიწას.




„აზენექილ ვეზავის“ ხიდი, რომელიც აერთებს სანგ-სის ბაღს და ბოგდიხანის საზაფხულო სადგომს, წმინდა უქებეს.

საბრალო ასრულებდა თავის დანიშნულებას სილარიბის გაწვრთნილ ყმის გულგრილობით და მოთხენით. უნდა იმუშაოს ბევრი, რომ ლუკა პური არ მოაკლდეს და იჯარის ფული დროზე გადაუხადოს პატრიონს.

მარტო დარჩა: ქალი დედას გაპყვა; ეხლა მხოლოდ მიწა და დარჩა, მოლალატე მიწა, რომელიც ჰყლავს ადამიანთ და ამსაც მოუღებს ბოლოს, მიწა, რომელიც მუდა მორთულია ყვავილებით კეთილსუნელოვანია და ნაყაფის მომცემი, თითქო სიკვდილს არასოდეს არ გაევლოს მასზე: არც ერთი გარდის ბუჩქი არ გამხმარა, რომ ბორდას გაცემოდეს მის ღიღიდა მუშავრობაში.

სამოცდა ათის წლის მოხუცის ეხლა ორის პაგიერად უნდა ემუშავნა; ეხლა ორკეცის სიჯიტით სთხრიდა მიწას და გულ გრილად უყურებდა იმ ცვალებად სიღამაზეს, რომელიც სუფევდა მის გარშემო; იცოდა, რომ ეს სიღამაზე ნაყოფია მისი ყმურის შრომისა. ერთად-ერთი სურვილი ასულდგმულებდა მოხუცის, დაემორჩილებნა ბუნებას ეს სიმუშენიერე და იმდენი ცვავილი მოეყანა, რომ უბრალო გალახსავით სათბიში გამხდარიყო.


ივ. ზურაბიშვილი.



უძველეს ჩალაც პოვანის ნახერივიზი.



„გულუხვობის ქუჩა“, რომელიც ეხლახან აღმოჩინეს ნანგრევებში.



ძველებური სამზარეულო, ს. და ამზადებონ მოხრას და შაქარლამას. აქვი იყო მოვარდი სებული პატარა ქოცოვის სასმელებისა.